

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“

მცირე და საშუალო საწარმოების
ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS SME-თვის)
ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებული შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. კომპანიის სამუშაო გარემო	6
3. მომზადების საფუძვლები	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება	7
5. ინფორმაცია შეფასებების, არასარწმუნოების და დაშვებების ძირითადი წყაროების შესახებ	12
6. ძირითადი საშუალებები	12
7. სხვა გრძელვადიანი აქტივები	13
8. წინასწარი გადახდები და სხვა დავალიანებები	13
9. დებიტორული და სხვა დავალიანებები	13
10. ანაზღაურებადი გადასახადები	14
11. ფული და ფულის ექვივალენტები	14
12. საწესდებო კაპიტალი	14
13. ნასესხები სახსრები	15
14. გრძელვადიანი დავალიანება	16
15. კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	16
16. შემოსავლები	16
17. სხვა საოპერაციო ხარჯი	17
18. ფინანსური ხარჯები	17
19. ვალდებულებები და სხვა გაუთვალისწინებელი შემთხვევები	17
20. ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან	19
21. ფინანსური ინსტრუმენტები	19
22. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები	20

შპს „აგსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	45,200	5,891	1,545
არამატერიალური აქტივები		9	9	12
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	6,286	-	-
წინასწარი გადახდები და სხვა დავალიანება	8	238	4,176	15
სულ გრძელვადიანი აქტივები		51,733	10,076	1,572
მიმდინარე აქტივები				
დებიტორული და სხვა დავალიანება	9	942	-	-
გადასასადების ანაზღაურება	10	3,196	238	-
ფული და ფულის ექვივალენტები	11	1,164	1,204	61
სულ მიმდინარე აქტივები		5,302	1,442	61
სულ აქტივები		57,035	11,518	1,633
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	12	24,656	24,656	1,730
გადაუხდელო კაპიტალი	12	(4,275)	(8,502)	-
დაგროვილი დეფიციტი		(11,746)	(5,820)	(3,467)
სულ კაპიტალი		8,635	10,334	(1,737)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	13	37,155	-	3,162
გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება	14	685	564	1
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		37,840	564	3,163
მიმდინარე ვალდებულებები				
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	15	10,560	620	207
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,560	620	207
სულ ვალდებულებები		48,400	1,184	3,370
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		57,035	11,518	1,633

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს:


გიორგი აბრამიშვილი
მმართველი პარტნიორი


მარიამ ჩხეიძე
ფინანსური მენეჯერი

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

<i>ათას ლარში</i>	<i>შენიშვნა</i>	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	6	45,200	5,891	1,545
არამატერიალური აქტივები		9	9	12
სხვა გრძელვადიანი აქტივები	7	6,286	-	-
წინასწარი გადახდები და სხვა დავალიანება	8	238	4,176	15
სულ გრძელვადიანი აქტივები		51,733	10,076	1,572
მიმდინარე აქტივები				
დებიტორული და სხვა დავალიანება	9	942	-	-
გადასახადების ანაზრაურება	10	3,196	238	-
ფული და ფულის ექვივალენტები	11	1,164	1,204	61
სულ მიმდინარე აქტივები		5,302	1,442	61
სულ აქტივები		57,035	11,518	1,633
კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	12	24,656	24,656	1,730
გადაუხდელი კაპიტალი	12	(4,275)	(8,502)	-
დაგროვილი დეფიციტი		(11,746)	(5,820)	(3,467)
სულ კაპიტალი		8,635	10,334	(1,737)
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
ნასესხები სახსრები	13	37,155	-	3,162
გრძელვადიანი კრედიტორული დავალიანება	14	685	564	1
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		37,840	564	3,163
მიმდინარე ვალდებულებები				
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	15	10,560	620	207
სულ მიმდინარე ვალდებულებები		10,560	620	207
სულ ვალდებულებები		48,400	1,184	3,370
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		57,035	11,518	1,633

დამტკიცებულია გამოსაცემად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით 2020 წლის 13 ოქტომბერს

გიორგი აბრამიშვილი
მმართველი პარტნიორი

მარიამ ჩხეიძე
ფინანსური მენეჯერი

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის

ათას ლარში	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი	16	642	-
სხვა შემოსავალი		38	183
გამოყენებული ნედლი და სახარჯი მასალები		(214)	-
თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი		(1,089)	(816)
ცვეთა და ამორტიზაცია	6	(30)	(27)
სხვა საოპერაციო ხარჯი	17	(2,237)	(923)
ხელშეკრულების მოშლის საფასური	1	(1,661)	-
საოპერაციო მოგება		(4,551)	(1,583)
ფინანსური ხარჯები	18	(1,486)	(643)
უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული მოგება / (ზარალი) წმინდა		111	(127)
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე		(5,926)	(2,353)
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
ზარალი მოცემული წლისთვის უწყვეტი ოპერაციებიდან		(5,926)	(2,353)
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სრული შემოსავალი		(5,926)	(2,353)

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

ათას ლარში	შენიშვნა	საწესდებო კაპიტალი	გადაუხდელი კაპიტალი	დაგროვილი დეფიციტი	სულ
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით		1,730	-	(3,467)	(1,737)
კაპიტალის ზრდა	12	22,926	(8,502)	-	14,424
ზარალი მოცემული წლისთვის				(2,353)	(2,353)
სულ სრული ზარალი მოცემული წლისთვის				(2,353)	(2,353)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		24,656	(8,502)	(5,820)	10,334
კაპიტალის ზრდა	0	-	4,227	-	4,227
ზარალი მოცემული წლისთვის				(5,926)	(5,926)
სულ სრული ზარალი მოცემული წლისთვის		-	-	(5,926)	(5,926)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		24,656	(4,275)	(11,746)	8,635

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“

ფულადი სახსრების მოძრაობის წინასწარი სპეციალური დანიშნულების ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

ათას ლარში	შენიშვნა	2019	2018
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან			
ზარალი მოგების გადასახადის გადახდამდე		(5,926)	(2,353)
კორექტირებები არა-ფულად შემოსავალსა და ხარჯთან დაკავშირებით:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	6	30	30
ფინანსური ხარჯი	18	1,486	643
ზარალი ძირითადი საშუალებების განკარგვიდან		-	22
უცხოური ვალუტის გაცვლით გამოწვეული მოგება/(ზარალი), წმინდა		(111)	127
საოპერაციო ზარალი საოპერაციო კაპიტალში ცვლილებებამდე		(4,521)	(1,531)
დებიტორული და სხვა დავალიანების ზრდა		(942)	(124)
კრედიტორული და სხვა სახის დავალიანების შემცირება		-	(435)
საგადასახადო წინასწარი გადახდების ზრდა		(2,958)	(238)
გრძელვადიანი გადასახდელების ზრდა		121	456
ცვლილებები სამუშაო კაპიტალში		(8,300)	(1,872)
გადახდილი პროცენტი		(340)	-
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ნაღდი ფული		(8,640)	(1,872)
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	6	(32,236)	(8,140)
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(32,236)	(8,140)
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან			
ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსავალი	13	36,421	505
კაპიტალში შენატანებიდან მიღებული შემოსავალი	12	4,227	10,719
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		40,648	11,224
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ექვივალენტებზე		188	(69)
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ექვივალენტებში		(40)	1,143
ფული და ფულის ექვივალენტები წლის დასაწყისში		1,204	61
ფული და ფულის ექვივალენტები წლის ბოლოს		1,164	1,204

1 ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის, შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტისთვის“ (შემდგომში - „კომპანია“ ან „AGD“).

კომპანია დაფუძნდა 2013 წლის 18 ივნისს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 404997232.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის გამოშვებულ წილებს ფლობდნენ შემდეგი პარტნიორები:

2019 წლის 31 დეკემბერი	
შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“	82%
შპს „ჯეო ჰაიდრო კაპიტალ გრუპი“	13%
შპს „ენერჯი სოლუმენს“	5%

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ს. ეულის ქ. №5 / ჯიქიას ქ. №10.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, საკუთრება და ოპერირება. კომპანიის ყველა ოპერაცია სრულდება საქართველოში.

2019 წლის განმავლობაში კომპანია იმყოფებოდა ლახამი 1 და ლახამი 2 ჰიდროელექტროსადგურების (შემდგომში - „პროექტი“) მშენებლობის პროცესში საქართველოში, სვანეთის რეგიონში. აღნიშნული მიზნით, 2016 წლის 19 ოქტომბერს კომპანიამ გააფორმა ურთიერთგაგების მემორანდუმი (შემდგომში - „MoU“) საქართველოს მთავრობასთან.

საპრეზენტაციო ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა.

2 კომპანიის სამუშაო გარემო

კომპანია ძირითად საქმიანობებს აწარმოებს საქართველოში. საქართველოს განვითარებადი ბაზრის კონკრეტული მახასიათებლები გააჩნია და შესაბამისად ექვემდებარება სხვადასხვა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ, იურიდიულ და საკანონმდებლო რისკებს, რაც თან ახლავს ამგვარ განვითარებად ბაზრებს. საგადასახადო კანონმდებლობა, რომელიც გავლენას ახდენს ქვეყანაში არსებულ ბიზნეს გარემოზე, ექვემდებარება განსხვავებულ ინტეგრაციებს და ხშირ ცვლილებებს.

ქვეყნის ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საქართველოს მთავრობის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, ფინანსური, ფისკალური და მონეტარული ღონისძიებების, აგრეთვე საგადასახადო, საკანონმდებლო და მარეგულირებელი პოლიტიკის ეფექტიანობაზე. მუხედავად იმისა, რომ ელექტროენერგიის ბიზნესი ნაკლებად დაუცველია და ნაკლებად ციკლურ ბიზნესს წარმოადგენს, მასზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის ეკონომიკური, საკანონმდებლო, ფისკალური და მარეგულირებელი გარემო.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია გააკეთოს ყველა იმ მოვლენის პროგნოზი, რამაც შესაძლოა ზემოქმედება მოახდინოს საქართველოს ეკონომიკაზე და, შესაბამისად, მათ შედეგებზე, ამგვარის არსებობის შემთხვევაში, რამაც შესაძლოა იმოქმედოს კომპანიის სამომავლო ფინანსურ მდგომარეობაზე. თუმცა კომპანიის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ იგი ღებულობს ყველა აუცილებელ ზომას კომპანიის საქმიანობის სტაბილურობისა და განვითარების ხელშესაწყობად.

3 მომზადების საფუძველი

შეესაბამისობის განაცხადი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის პირველ წლიურ ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს და მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიამ დაამტკიცა მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის 35-ე პუნქტი - „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლა“. კომპანიის მიერ მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღი არის 2018 წლის 1 იანვარი. გარკვეული გამოწვევების გათვალისწინებით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტით მოთხოვნილია აღნიშნული სტანდარტის რესტროსპექტიული გამოყენება 2019 წლის 31 დეკემბრით

დასრულებული წლისთვის. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის გამოყენებული იქნა მცირე და საშუალო საწარმოების საწყისი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების მომზადებისას 2018 წლის 1 იანვარსა და მომდევნო პერიოდებში, მცირე და საშუალო საწარმოების პირველი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ანგარიშგების პერიოდის დასრულებამდე.

2019 წლის 7 ივნისს, კომპანიამ გამოუშვა სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაცია, რომელიც შედარებადია მცირე და საშუალო საწარმოების პირველი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ფინანსურ ანგარიშგებებთან. აღნიშნულ სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ანგარიშგებასა და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხებს შორის არ აღინიშნება რაიმე სხვაობა 2017 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების კონცეფციის საფუძველზე.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის პირველად გამოყენება. ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლის თარიღამდე, კომპანიას არ მოეთხოვებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება და მას წარსულში არ მოუზადებია რაიმე ფინანსური ანგარიშგება. აღნიშნულიდან გამომდინარე, შეთანხმებები იმის შესახებ, თუ როგორი გავლენა მოახდინა წინა ფინანსური ანგარიშგების სტრუქტურიდან მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლამ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე, ფინანსურ საქმიანობასა და ფულადი სახსრების ნაკადებზე, არ არის წარმოდგენილი წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში. მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტზე გადასვლამდე, კომპანია აწარმოებდა ჩანაწერებს იმ პოლიტიკის გამოყენების შესახებ, რომელიც გარკვეულწილად ემყარებოდა საგადასახადო რეგულაციას.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას კომპანიამ ისარგებლა სავალდებულო გამონაკლისებით რესტროსპექტიული გამოყენებიდან. კომპანიას არ გამოუყენებია რაიმე ზოგადი ხასიათის გამონაკლისი, რომელიც დაკავშირებული იქნებოდა სუბიექტის მიერ მცირე და საშუალო საწარმოების პირველი ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის 35.11 პუნქტით გათვალისწინებული ერთი ან ერთზე მეტი დაზუსტების განხორციელების არაპრაქტიკულობასთან.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპები მოყვანილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა საყოველთაოდ მიღებულია ყველა წარმოდგენილი პერიოდისათვის, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული. ფინანსური ანგარიშგების მომზადება მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ის ასევე მოითხოვს, რომ ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი მოსაზრებები კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსური ინფორმაციისთვის, წარმოდგენილია მე-5 შენიშვნაში.

უცხოურ ვალუტაში კონვერტაცია. კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს ვალუტა, რომელიც გამოიყენება იმ ძირითად ეკონომიკურ გარემოში, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა საქართველოს სახელმწიფო ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“). აღნიშნულიდან გამომდინარე, კომპანიის ფინანსური ანგარიშგების საპრეზენტაციო ვალუტაა ლარი. ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე, გარდა კონკრეტულად მითითებული შემთხვევებისა.

ბალანსის შედგენის თარიღისთვის უცხოურ ვალუტებში მითითებული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება ქართულ ლარში აღნიშნული თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება იმ ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით, რომელიც წარმოდგენილია ოპერაციის თარიღისთვის. ამგვარი ოპერაციების განხორციელებიდან და უცხოურ ვალუტებში მითითებული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაყვანიდან მიღებული მოგების და ზარალის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი / ლარი	2.8677	2.6766	2.5922
ევრო / ლარი	3.2095	3.0701	3.1044

ამჟამად ქართული ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ფული და ფულის ექვივალენტები. ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს სალაროს ნაღდ ფულს, ბანკებში განთავსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია. ფული და ფულის ექვივალენტები ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

დებიტორული დავალიანება. დებიტორული დავალიანება აღიარდება თავდაპირველად გარიგების ფასად. შემდგომ მისი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვები. დებიტორული დავალიანების გაუფასურებისთვის რეზერვები განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დებიტორული დავალიანების თავდაპირველი პირობების თანახმად გადასახდელი ყველა თანხის ამოღებას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები თავდაპირველად აღირიცხება დაბალი ღირებულებით და სავარაუდო რეალიზაციის ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. ხარჯი განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების საფუძველზე და მოიცავს შესყიდვის ხარჯსა და მათ მიმდინარე ლოკაციასა და პირობებში მოსაყვანად გაწეულ სხვა ხარჯს.

ყოველ საანგარიშო დღეს სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები ფასდება გაუფასურებაზე. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურების შემთხვევაში, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის სარეალიზაციო ფასს გამოკლებული რეალიზაციის ხარჯი და გაუფასურების ზარალის აღიარება მოხდება დაუყოვნებლივ მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ფასდება თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ისტორიული ღირებულება მოიცავს ხარჯს, რომელიც პირდაპირ კავშირშია აქტივის იმ ლოკაციასა და პირობებში მოყვანასთან, რაც აუცილებელია მისი ოპერირებისთვის ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად.

კომპანია ძირითადი საშუალებების კომპონენტების საბალანსო ღირებულებას ამატებს აღნიშნული კომპონენტის შესაცვლელი ნაწილების ხარჯს, ამგვარი ხარჯის წარმოშობის შემთხვევაში, თუ შეცვლილი ნაწილი სავარაუდოდ მოუტანს დამატებით სამომავლო სარგებელს კომპანიას. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება შეწყდება. ყველა სხვა შეკეთება და ტექნიკური მომსახურება აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი წარმოიშება.

ცვეთა. მიწა და მიმდინარე მშენებლობა არ ექვემდებარება ცვეთას. სხვა აქტივების ცვეთის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის საფუძველზე მათი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში აქტივების თვითღირებულების ნარჩენ ღირებულებამდე განაწილების მიზნით. სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადები შემდეგი სახისაა:

- | | |
|--|--------------|
| • მანქანა-დანადგარები | 10 – 20 წელი |
| • საოფისე მოწყობილობები და აღჭურვილობა | 10 – 20 წელი |
| • სატრანსპორტო საშუალებები | 5 – 10 წელი |

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადები და გაუფასურების მეთოდები განიხილება და დაკორექტირდება მიახლოებით, შესაბამისობის შემთხვევაში, თუ არსებობს მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშანი ბოლო ანგარიშგების თარიღის შემდგომ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის აღდგენად ღირებულებაზე იმ შემთხვევაში, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება სავარაუდო აღდგენად ღირებულებას (შენიშვნა 6).

განკარგვისას მოგება და ზარალი განისაზღვრება მიღებული შემოსავლების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და აღიარებულია მოგება-ზარალის ან სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში პუნქტში - 'მოგებას გამოკლებული სრული შემოსავლების განკარგვის ზარალი'.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება გარდა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობებისა. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება ცვეთას ან ამორტიზაციას, ფასდება თითოეული საანგარიშო თარიღით, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა აქტივის გაუფასურების რაიმე ნიშანი. აქტივის გაუფასურების ნიშნის არსებობის შემთხვევაში, აქტივის (ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის, რომელსაც მიეკუთვნება აქტივი) საბალანსო ღირებულება შემოწმდება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება იმ ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებად ღირებულება არის აქტივის (ან ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულის) სამართლიანი ღირებულების უმაღლესი მაჩვენებელი, გამოკლებული რეალიზაციისა და გამოყენების ხარჯი. გაუფასურების შეფასების მიზნით, აქტივები დაჯგუფებულია ყველაზე დაბალ დონეზე, რისთვისაც წარმოდგენილია განცალკევებით იდენტიფიცირებული ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების მაგენერირებელი ერთეულები). არა-ფინანსური აქტივები, გარდა გუდვილისა, რომლებიც გაუფასურებას განიცდიდნენ, განიხილება გაუფასურების შესაძლო ანაზღაურებაზე, ყოველ საანგარიშო პერიოდში.

კრედიტორული დავალიანება. კრედიტორული დავალიანება აღიარებულია თავდაპირველად საოპერაციო ფასად და შემდგომ განისაზღვრება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ვალდებულებების და ხარჯების რეზერვები. ვალდებულებებისა და ხარჯების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი ვადის ან ოდენობის მქონე არა-ფინანსურ ვალდებულებებს. ისინი წარმოიშება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, არსებობს იმის ალბათობა, რომ ვალდებულების შესასრულებლად საჭირო გახდება ეკონომიკური სარგებლის მომტანი რესურსების გადინება და ვალდებულების თანხა შეიძლება სარწმუნოდ განისაზღვროს. თუ ეფექტი მატერიალური ხასიათისაა, რეზერვები განისაზღვრება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი სახსრების მოძრაობის დისკონტირებით გადასახდელამდე განაკვეთით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და, შესაბამისობის შემთხვევაში, ვალდებულებებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

ნასესხები სახსრები. ნასესხები სახსრების აღიარება ხდება თავდაპირველად რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების ხარჯის გარეშე, და შემდეგ წარმოდგენილია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური სარგებლის მეთოდის გამოყენებით.

პირობითი ვალდებულებები და აქტივები. პირობითი აქტივი წარმოადგენს პოტენციურ ეკონომიკურ სარგებელს, რომლის მიღებაც დამოკიდებულია იმ სამომავლო მოვლენებზე, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ვინაიდან არსებობს გაურკვევლობა იმასთან დაკავშირებით, მოხდება თუ არა მოგების მატერიალიზება ან მათი ზუსტი ეკონომიკური ღირებულების დადგენა, ეს მიუთითებს იმაზე, რომ ეს აქტივები არ აღირიცხება ბალანსში. ამის ნაცვლად, ისინი აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. პირობითი ვალდებულება ნიშნავს ვალდებულებას, რომელიც შეიძლება წარმოიშვას გაურკვეველი სამომავლო მოვლენის შედეგის მიხედვით. პირობითი ვალდებულება აღირიცხება იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუთვალისწინებელი გარემოების დადგომის ალბათობა და პასუხისმგებლობის ოდენობა შეიძლება გონიერულად შეფასდეს. პასუხისმგებლობა შეიძლება განისაზღვროს ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ შესაბამის შენიშვნებში, გარდა ორივე პირობის დაკმაყოფილების შემთხვევისა.

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის განცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობას განსაზღვრავს კომპანიის პარტნიორები. კომპანიის განცხადებულ კაპიტალში ცვლილებები უნდა განხორციელდეს მხოლოდ კომპანიის პარტნიორთა გადაწყვეტილების საფუძველზე. განცხადებული საწესდებო კაპიტალის გადაჭარბება / (დეფიციტი) ფაქტობრივი შენატანების ღირებულებამდე აღირიცხება, როგორც განადგებული / (გაუნადგებელი) კაპიტალი, შესაბამისად. ასევე, კომპანიის პარტნიორების მიერ განხორციელებული შენატანები კაპიტალში ნაღდი ფულის სახით ან ნატურით, რომლებიც გათვალისწინებული იყო კომპანიის კაპიტალის გასაზრდელად, მაგრამ არ იყო ასახული კომპანიის წესდებაში ბალანსის შედგენის თარიღისთვის, აღიარებულია განადგებული კაპიტალის სახით.

შემოსავლის აღიარება. შემოსავალი ფასდება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის რეალიზაციისთვის მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. შემოსავალი განისაზღვრება

სარეალიზაციო / დამატებითი ღირებულების გადასახადის, ამონაგების, ფასდათმობების და ფასდაკლების გამოკლებით.

კომპანია აღიარებს შემოსავალს როდესაც: შესაძლებელი იქნება შემოსავლის ოდენობის საიმედოდ გაანგარიშება; როდესაც არსებობს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემოდინების ალბათობა კომპანიაში; და როდესაც დაკმაყოფილდება კონკრეტული კრიტერიუმები კომპანიის თითოეულ საქმიანობასთან დაკავშირებით; როგორც აღწერილია ქვემოთ.

ელექტროენერგიის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც მომხმარებელი მიიღებს პროდუქტებს ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად ან კომპანიას გააჩნია ობიექტური მტკიცებულება, რომ მიღების ყველა კრიტერიუმი დაკმაყოფილდა.

საპროცენტო შემოსავალი აღიარებულია დროითი პროპორციის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საოპერაციო იჯარები. იმ შემთხვევაში, თუ კომპანია არის მოიჯარე ისეთ საიჯარო ხელშეკრულებაში, რომელიც არ ითვალისწინებს ფლობის რისკების და სარგებლის მეიჯარისგან კომპანიაზე გადაცემას, იჯარის მთლიანი გადახდა გატარდება ხარჯის სახით წლის მოგება-ზარალში წრფივი მეთოდით იჯარის პერიოდის განმავლობაში. იჯარის ვადა წარმოადგენს არაგაუქმებად პერიოდს, რომლის განმავლობაშიც მოიჯარე გააფორმებს ხელშეკრულებას იმასთან დაკავშირებით, რომ იჯარით აიღოს აქტივი ნებისმიერი შემდგომი ვადით, რომლის მანძილზეც მოიჯარეს უფლება ექნება ისარგებლოს აქტივის იჯარის ოფციით, დამატებითი გადახდით ან მის გარეშე, როდესაც იჯარის დასაწყისში, გარკვევით იქნება მითითებული, რომ მოიჯარე ისარგებლებს ამ ოფციით.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის შეჯამება (გაგრძელება)

მოგების გადასახადები. მოგების გადასახადები წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის შესაბამისად, რომელიც მოქმედებს ან არსებითად მოქმედებს ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ განახორციელა ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის საფუძველზე კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ არიან ვალდებული გადაიხადონ მოგების გადასახადი მათ მოგებაზე 2017 წლის 1 იანვრიდან, სანამ ასეთი მოგება არ განაწილდება ან განაწილებულად არ ჩაითვლება დივიდენდის ფორმით. 15%-იანი მოგების გადასახადი გადაიხდება მთლიან მაჩვენებელზე (ე.ი. წმინდა დივიდენდები უნდა გადაანგარიშდეს მთლიან მაჩვენებლებში, გადახდის წყაროსთან 5% დაკავებით, შესაბამის შემთხვევებში და 0.85-ზე გაყოფით) დივიდენდის გადახდისას ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის. რეზიდენტი იურიდიული პირებისთვის გადახდილი დივიდენდები 2017 წლის 1 იანვრიდან გამომჟღავნებული მოგებიდან არ იბეგრება.

მოგების გადასახადი, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების განაწილების შედეგად, აღირიცხება როგორც მოგების გადასახადის ხარჯი დივიდენდების გამოცხადების პერიოდში, ფაქტობრივი გადახდის თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომელშიც გადახდილი იქნა დივიდენდები.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადი კვლავ გადასახდელია იმ ხარჯებზე ან სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან, აქტივების ან მომსახურებების თავისუფალ მიწოდებასთან და წარმომადგენლობით ხარჯებთან, რომელიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალური თანხას. იმ სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსი, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში და სხვა კონკრეტული გარიგებები ასეთ სუბიექტებთან, ასევე ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაბეგრვას. ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, გადასახადების გამოკვეთის შემდეგ, რომელიც მოითხოვება აქტივებზე ან მიღებულ მომსახურებებზე იმ სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა ავანსის სანაცვლოდ, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციაში ან ფიზიკურ ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხების ამოღების სანაცვლოდ, აისახება პუნქტში - 'გადასახადები, გარდა მოგებისა არა-საოპერაციო ხარჯების ფარგლებში'.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის გაურკვეველ საგადასახადო პოზიციებს ხელახლა აფასებს ხელმძღვანელობა ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღირიცხება მოგების გადასახადის იმ პოზიციებისთვის, რომლებსაც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ დამატებით გადასახადებს, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. აღნიშნული შეფასება ეყრდნობა საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესული ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე. ვალდებულებები მოგების გარდა სხვა პოზიციებთან დაკავშირებულ ჯარიმებთან, პროცენტებთან ან გადასახადებთან დაკავშირებით აღიარებულია ხელმძღვანელობის მიერ იმ ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომლებიც აუცილებელია ვალდებულებების შესასრულებლად საანგარიშო პერიოდის ბოლოს. მოგების გადასახადის გაურკვეველი პოზიციების კორექტირება აღირიცხება მოგების გადასახადის ფარგლებში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებით დარიცხული დამატებითი ღირებულების გადასახადი („დღგ“) ექვემდებარება ანგარიშსწორებას საგადასახადო ორგანოების მიმართ იმ დღეს, რომელიც უფრო ადრე დადგება შემდეგიდან: (ა) მომხმარებლებისგან მისაღები თანხების ამოღება, ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდება. გადახდილი დღგ ზოგადად ანაზღაურდება დარიცხულ დღგ-თან მიმართებით დღგ-ს ანგარიშფაქტურის მიღების საფუძველზე. საგადასახადო ორგანოები უშვებენ დღგ-ს გადახდას ნეტო-საფუძველზე. ელექტროენერგიის მიწოდება თავისუფლდება დღგ-სგან გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ელექტროენერგია მიეწოდება საბოლოო მომხმარებელს.

ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა. ძირითადი საშუალებების კომპონენტის სასარგებლო გამოყენების ვადის შეფასება წარმოადგენს ხელმძღვანელობის მიერ წარმოდგენილი დაშვებების საკითხს, რომელიც ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებით არსებულ გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო გამოყენების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთასა და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის ექსპლუატაცია. აღნიშნულ პირობებში ან შეფასებებში რაიმე ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის მაჩვენებლების კორექტირება.

დივიდენდების განაწილება. კომპანიის პარტნიორების მიმართ დივიდენდების განაწილების აღიარება ხდება ვალდებულების სახით იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც კომპანიის პარტნიორები დამტკიცებენ დივიდენდებს.

გაცემული სესხები. გაცემული სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გაწეული გაუფასურების ზარალის რეზერვების გარეშე.

შესწორების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში გამოცემის შემდეგ. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამოშვების შემდეგ საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცებას, რომელიც იძლევა აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების გამოცემის ნებართვას.

5 ინფორმაცია შეფასებების, არასარწმუნოების და დაშვებების ძირითადი წყაროების შესახებ

კომპანია აკეთებს შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში აღიარებულ თანხებზე და აგრეთვე აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში. შეფასებები და დაშვებები მუდმივად ფასდება და ეყრდნობა ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის მომავალი მოვლენების პერსპექტივებს, რაც გონივრულად ჩაითვლება არსებულ გარემოებებში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობა იმ დასკვნების გარდა, რომლებიც შეფასებებს მოითხოვს, აგრეთვე აკეთებს სხვა დაშვებებს. დაშვებები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ამ წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაში აღიარებულ თანხებზე და შეფასებები, რომლებმაც შესაძლოა გამოიწვიოს აქტივების და ვალდებულებების საბალანსო ღირებულების მნიშვნელოვანი კორექტირება მომდევნო ფინანსური წლის განმავლობაში, მოიცავს:

მოქმედი საწარმო. ხელმძღვანელობამ მოამზადა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება, მოქმედი საწარმოს პრინციპის საფუძველზე. მოქმედი საწარმო წარმოადგენს ბუღალტრულ ტერმინს იმ კომპანიისთვის, რომელიც იმყოფება საკმაოდ სტაბილურ მდგომარეობაში იმისათვის, რომ შეასრულოს ვალდებულებები და განაგრძოს მისი საქმიანობა პროგნოზირებად მომავალში. ამგვარად, გარკვეული ხარჯები და აქტივები შესაძლებელია გადავადდეს ფინანსურ ანგარიშგებში იმ შემთხვევაში, თუ კომპანია ივარაუდებს, როგორც მოქმედი საწარმო. ამ გადაწყვეტილების მიღებისას, ხელმძღვანელობამ მხედველობაში მიიღო კომპანიის სპეციფიკური გარემოებები (ფინანსური მდგომარეობა, ფინანსური კოეფიციენტები, ლიკვიდობა და გადახდისუნარიანობის შეფასება, საოპერაციო საქმიანობა, სამომავლო ოპერაციების მომგებიანობა, ფინანსური რესურსების ხელმისაწვდომობა), ასევე გაანალიზა კომპანიის საქმიანობაზე მაკროეკონომიკური და სამრეწველო მოვლენების გავლენა.

6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ცვალებადობა წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	მიმდინარე შენიშვნა	მანქანა- დანადგარები	საოფისე მოწყობილობები, აღჭურვილობა და ფიტინგები	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
<i>ათას ლარში</i>					
ხარჯი					
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის					
მდგომარეობით	1,467	41	41	64	1,613
დამატებები	4,372	-	23	-	4,395
განკარგვა	-	(20)	(4)	-	(24)
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	5,839	21	60	64	5,984
დამატებები	37,499	1,784	50	131	39,414
გადაცემა	(63)	-	63	-	-
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის					
მდგომარეობით	43,225	1,805	173	195	45,398
დაგროვილი ცვეთა					
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	11	19	38	68
ამორტიზაციის საფასური	-	4	10	13	27
ლიკვიდირებული განკარგვისას	-	-	(2)	-	(2)
ნაშთი 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	-	15	27	51	93
ხარჯი წლის განმავლობაში	-	74	23	8	105
ლიკვიდირებული განკარგვისას	-	-	-	-	-
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის					
მდგომარეობით	-	89	50	59	198
საბალანსო ღირებულება					
2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	1,467	30	22	26	1,545
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,839	6	33	13	5,891
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	43,225	1,716	123	136	45,200

იხილეთ მე-19 შენიშვნა დაგირავებული აქტივების შესახებ დეტალური ინფორმაციის თაობაზე

7 სხვა გრძელვადიანი აქტივები

ათას ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მიწები	5,147	-	-
ხრეში	596	-	-
სხვა	543	-	-
სხვა გრძელვადიანი აქტივები	6,286	-	-

სხვა გრძელვადიანი აქტივები მოიცავს იმ სამშენებლო მასალებს, რომლებიც მიღებულია ჰესების მშენებლობის მიზნით და ჯერ კიდევ არაა მოხმარებული / დამონტაჟებული წლის დასასრულისთვის.

8 წინასწარი გადახდები და სხვა დავალიანება

ათას ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
წინასწარი გადახდები	238	4,164	4
სხვა დავალიანება	-	12	11
სულ წინასწარი გადახდები და სხვა დავალიანება	238	4,176	15

9 დებიტორული და სხვა დავალიანებები

ათას ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
დებიტორული დავალიანებები	100	-	-
სხვა დავალიანებები	842	-	-
სულ დებიტორული და სხვა დავალიანება	942	-	-

სხვა დავალიანებები მოიცავს სს „ნენსკრა ჰიდროსტან“ მისაღებ 842 ათას ლარს, რაც დაკავშირებულია მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობასთან.

10 ანაზღაურებადი გადასახადები

ანაზღაურებად გადასახადს წარმოადგენს დღგ. დღგ აქტივები უკავშირდება კომპანიის მიერ შესყიდულ სერვისებსა და სამშენებლო სამუშაოებს ძირითადად ჰიდროელექტროსადგურებთან დაკავშირებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, კომპანიას შეუძლია გამოიყენოს დღგ აქტივები სამომავლოდ წარმოშობილი ნებისმიერი სხვა საგადასახადო ვალდებულების ან გადასახადის ანაზღაურების მოთხოვნის მიმართ. კომპანიის ხელმძღვანელობის აზრით, დღგ აქტივები სრულად ანაზღაურებადია.

11 ფული და ფულის ექვივალენტები

ათას ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული სალაროში	-	-	-
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	1,164	1,204	61
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	1,164	1,204	61

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები – 2019 წლის 31 დეკემბერი

„თიბისი ბანკთან“ გაფორმებული აკრედიტივისა და სესხის ხელშეკრულებების თანახმად, ბანკში დაგირავებულია ფულისა და ფულის ექვივალენტების საბალანსო ოდენობა 2019 წლის 31 დეკემბრის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 1,164 ათასი აშშ დოლარისა და 1,204 ათასი აშშ დოლარის ოდენობით, შესაბამისად.

12 საწესდებო კაპიტალი

კომპანიის მესაკუთრეები არიან:

ათას ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“	82%	82%	80%
შპს „ჯეო ჰაიდრო კაპიტალ გრუპი“	13%	13%	15%
შპს „ენერჯი სოლუშენს“	5%	5%	5%

2018 წლის 31 მაისს, კომპანიის საწესდებო კაპიტალი გაიზარდა საწყისი 1,730 ათასი ლარიდან 22,926 ათასი ლარით, მესაკუთრეთა გადაწყვეტილების შედეგად. მესაკუთრეების მიერ 2018 წლის განმავლობაში შენატანის სახით შეტანილ იქნა 14,424 ათასი ლარი.

13 ნასესხები სახსრები

ათას ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი სესხები:			
<i>საბანკო სესხი</i>			
გადასახდელი პროცენტი	36,092	-	-
დარიცხული პროცენი	1,063	-	-
<i>დაკავშირებული მხარის ნასესხები სახსრები</i>			
გადასახდელი პროცენტი	-	-	2,757
დარიცხული პროცენი	-	-	405
სულ ნასესხები სახსრები	37,155	-	3,162

2018 წლის 15 ივნისს, კომპანიამ გააფორმა სესხის ხელშეკრულება სს „თიბისი ბანკთან“. იხილეთ მე-11 შენიშვნა სესხისთვის დაგირავებულ აქტივებთან დაკავშირებით. იხილეთ მე-19 შენიშვნა სესხის შემდგომი უტილიზაციის შესახებ.

დაკავშირებული მხარის სესხი კონვერტირდა კომპანიის საწესდებო კაპიტალში 2018 წელს. დეტალური ინფორმაციისთვის, იხილეთ შენიშვნა 12.

შემდეგ ცხრილში წარმოდგენილია დაფინანსების საქმიანობიდან გამომდინარე ვალდებულებების ანალიზი და დაფინანსების საქმიანობიდან კომპანიის ვალდებულებების ცვალებადობა თითოეული წარმოდგენილი პერიოდისთვის. აღნიშნული ვალდებულებების კომპონენტები წარმოადგენენ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგებაში დაფინანსების სახით წარმოდგენილ კომპონენტებს:

ათას ლარში	2019	2018
ვალდებულებები დაფინანსების საქმიანობიდან 1 იანვრის მდგომარეობით	-	3,162

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები – 2019 წლის 31 დეკემბერი

ძირი თანხის დანამატები	36,421	505
კონვერტაცია საწესდებო კაპიტალში	-	(3,705)
დარიცხული პროცენტი	1,063	188
კურსთაშორისი სხვაობით გამოწვეული მოგება	(329)	(150)
ვალდებულებები დაფინანსების საქმიანობიდან 31 დეკემბრის მდგომარეობით	37,155	-

კომპანიის ყველა აქტივი, ასევე წილების 95% დაგირავებულია სესხის უზრუნველყოფის სახით.

კომპანია ექვედებარება გარკვეულ შეთანხმებებს ძირითადად „თიბისი ბანკიდან“ მის მიერ ნასესხებ ფულად სახსრებთან დაკავშირებით.

14 გრძელვადიანი დავალიანება

ათას ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი დავალიანება მშობელი კომპანიის - შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-ს მიმართ	602	564	1
დავალიანება შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-ს მიერ წარმოდგენილ საბანკო გარანტიაზე	83	-	-
სულ გრძელვადიანი დავალიანება	685	564	1

გრძელვადიანი დავალიანების ნაშთი წარმოადგენს 702 ათასი ლარის ოდენობის სრულ გადასახდელ ნაშთს მშობელი კომპანიის - შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-ს მიმართ, რომელიც ექვემდებარება ანგარიშსწორებას ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის დასრულებიდან 2 წლის განმავლობაში.

მშობელი კომპანიის მიმართ 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დავალიანების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს 555 ათასი ლარის ოდენობის დავალიანების ამორტიზებულ ღირებულებას, პლუს 47 ათასი ლარის ოდენობის დარიცხული პროცენტი და კლასიფიცირდება გრძელვადიან ვალდებულებად.

კანონმდებლობის თანახმად, კომპანიას მოეთხოვა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიმართ საბანკო გარანტიის წარდგენა 1,590 ათასი აშშ დოლარის ოდენობით (100 ათასი აშშ დოლარი დადგმული სიმძლავრის ყოველ მეგავატზე). მშენებლობასთან დაკავშირებული საბანკო გარანტია კომპანიის სახელით წარმოადგინა მშობელმა კომპანიამ შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-მ. საბანკო გარანტიაზე დარიცხული და მშობელი კომპანიის მიერ გადახდილი საპროცენტო სარგებელი ანაზღაურდება კომპანიისგან ჰესის ექსპლუატაციაში გაშვებიდან 24 თვის განმავლობაში. ეს აისახება დავალიანებებში, საბანკო გარანტიასთან დაკავშირებით.

15 კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება

ათას ლარში	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
კრედიტორული დავალიანება	10,518	620	207
სხვა დავალიანება	42	-	-
სულ კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება	10,560	620	207

16 შემოსავლები

2019 წელს შემოსავლებს ძირითადად წარმოადგენს მესამე მხარეების მიმართ ბეტონისა და ხრეშის რეალიზაციის შედეგად მიღებული შემოსავალი.

17 სხვა საოპერაციო ხარჯი

ათას ლარში	2019	2018
იჯარის ხარჯი	215	235
სოფლის ინფრასტრუქტურა და სოციალური ხარჯი	1,255	-
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა	295	77
წარმომადგენლობითი ხარჯი	171	55
უზრუნველყოფის ხარჯი	75	-
პროფესიონალური მომსახურების საფასური	55	488
აუდიტის ხარჯი	47	-
საკანცელარიო საქონელი	42	21
კომუნალური ხარჯი	18	6
საკომუნიკაციო ხარჯი	10	5
შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯი	1	1
ძირითადი საშუალებების განკარგვით გამოწვეული ზარალი	-	22
სხვა	53	13
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	2,237	923

18 ფინანსური ხარჯები

ათას ლარში	2019	2018
საგარანტიო მოსაკრებელი	44	19
საპროცენტო ხარჯი	1,102	295
საბანკო მომსახურების საფასური	340	329
სულ ფინანსური ხარჯები	1,486	643

19 ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები

საგადასახადო კანონმდებლობა. საგადასახადო სისტემა საქართველოში შედარებით ახალია და ის ხშირად წარმოადგენს საკანონმდებლო ცვლილებების, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების საგანს, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ურთიერთგამომრიცხავია ან განსხვავებულად ინტერპრეტირდება სხვადასხვა საგადასახადო უწყების მიერ. გადასახადები ხშირად გადაიხდება და მათთან დაკავშირებით ხშირად ტარდება კვლევები რამდენიმე სახელმწიფო უწყების მიერ, რომლებსაც აქვთ უფლებამოსილება დააკისრონ მკაცრი ჯარიმები, პირგასამტეხლოები და საპროცენტო დარიცხვები. საგადასახადო წელიწადი რჩება ღია განსახილველად საგადასახადო ორგანოების მიერ სამი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა კონკრეტულ გარემოებებში საგადასახადო წელიწადი შესაძლებელია დარჩეს ღია უფრო მეტი ხნით. აღნიშნული გარემოებები წარმოშობს საგადასახადო რისკებს საქართველოში, რაც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობა თვლის, რომ მან სათანადოდ გაითვალისწინა საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებებისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ინტერპრეტაციებზე დაყრდნობით. თუმცა შესაბამისი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს და გავლენა მოცემული წინასწარი სპეციალური დანიშნულების ფინანსურ ინფორმაციაზე იმ შემთხვევაში, თუ ორგანოები წარმატებით დანერგავენ საკუთარ ინტერპრეტაციებს, შეიძლება იყოს მნიშვნელოვანი.

დაგირავებული და დატვირთული აქტივები. „თიბისი ბანკთან“ გაფორმებული სესხის ხელშეკრულებების თანახმად, ყოველგვარი მომრავი და უძრავი ქონება, ასევე კომპანიის წილის 95% დაგირავებულია ბანკთან. დეველოპერი იმყოფება თითქმის ყოველდღიურ კავშირზე ბანკთან და პროექტთან დაკავშირებული ყოველგვარი საქმიანობა სრულად შეესაბამება „თიბისი ბანკთან“ გაფორმებულ ხელშეკრულებებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, არ არის წარმოდგენილი პირობითი შეღავათი დაგირავებულ და შეზღუდულ აქტივებთან დაკავშირებით.

19 ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი შემთხვევები (გაგრძელება)

საქართველოს მთავრობის წინაშე ნაკისრი ვალდებულება. 2016 წლის 19 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ურთიერთგაგების მემორანდუმის საფუძველზე, კომპანიამ იკისრა ყველა მისი ჰესის მიერ გენერირებული ელექტროენერგიის რეალიზაციის ვალდებულება აღნიშნული ურთიერთგაგების მემორანდუმის ფარგლებში, სექტემბრიდან აპრილამდე პერიოდისთვის (8 თვის განმავლობაში), ექსკლუზიურად ელექტროენერგეტიკული სისტემის კომერციული ოპერატორის (ESCO) მიმართ. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ასრულებდა მემორანდუმით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

გარემოსდაცვითი საკითხები. გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ასპექტები უმნიშვნელოვანესია კომპანიისთვის და პროექტის განვითარების სრული პროცესი ფასდება და ვითარდება მსოფლიოში აღიარებული ESG სტანდარტების (EIB, IFC) გათვალისწინებით. მიუხედავად იმისა, რომ ზემოაღნიშნულმა მიდგომამ ყოველგვარი საქმიანობის მოქმედ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანის უზრუნველსაყოფად (მათ შორის და არა მხოლოდ: ხეების ჭრა, ჯანმრთელობის დაცვა და უსაფრთხოება, კომუნიკაცია ადგილობრივ საზოგადოებასთან, ადგილობრივი მოსახლეობის საჭიროებების განსაზღვრა და ა.შ.) შეამცირა საწყისი განვითარების ეტაპი, მისი გრძელვადიანი დადებითი გავლენის აშკარაა, რადგან კომპანია ვითარდება მოცემულ სფეროში საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად. პროექტის ფარგლებში წარმოდგენილი ყველა აქტივობა სრულდება IFC და EIB სტანდარტებისა და საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად გარემოსდაცვით, სოციალურ, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ასპექტებზე ორიენტირებით.

სოციალური საკითხები. მიუხედავად მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) საქმიანობისა, პროექტი ადგილობრივი მოსახლეობის მხრიდან თითქმის ყოველდღიური სოციალური პრობლემების წინაშე დგას, რაც უარყოფით გავლენას ახდენს პროექტის განვითარების ტემპზე და უარყოფითად აისახება პროექტის შესრულების ვადებზე და, შესაბამისად, კაპიტალურ დახარჯებზე.

შეთანხმებებთან შესაბამისობა. კომპანია ექვემდებარება გარკვეულ შეთანხმებებს, რაც ძირითადად დაკავშირებულია სს „თიბისი ბანკისგან“ აღებულ სესხებთან. აღნიშნული შეთანხმებების შეუსრულებლობამ შეიძლება გამოიწვიოს კომპანიის მიმართ უარყოფითი შედეგები, მათ შორის სესხების ღირებულების ზრდა და ვალდებულებების შეუსრულებლობის დეკლარირება. კომპანია ასრულებდა შეთანხმებებს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აკრედიტივი. კომპანიამ უზრუნველყო გადახდების გადავადებული ვადების აკრედიტივით მხარდაჭერა ელექტრომექანიკური მოწყობილობების პროვაიდერ კომპანიასთან „აუსტრიან გლობალ ჰიდრო“-სთან. აკრედიტივი კონვერტირდება სესხად, გადასახდელი დავალიანების გადახდის დროს. ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 2,753 ათას ევროს. **საბანკო გარანტია.** შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-მ წარმოადგინა მშენებლობასთან დაკავშირებული საბანკო გარანტია კომპანიის სახელით, ურთიერთგაგების მემორანდუმის მოთხოვნისამებრ. საწყისი თანხა იყო 1,590 ათასი აშშ დოლარი, რომელიც შემცირდა 75%-ით (1,590 ათასი აშშ დოლარიდან 399 ათას აშშ დოლარამდე) 2020 წლის პირველ კვარტალში, როდესაც ფონდმა ბანკს წარუდგინა აუდიტის დასკვნა, რომლის მიხედვითაც სამუშაოების 75% იყო დასრულებული.

შპს „ავსტრიან ჯორჯიან დეველოპმენტი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები – 2019 წლის 31 დეკემბერი

20 ნაშთები და გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან შემოსავლის და ხარჯის კომპონენტები წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

<i>ათას ლარში</i>	2019	2018
დაფინანსების ხარჯი გრძელვადიან დავალიანებაზე მშობელი კომპანიის (შენიშვნა 11) - შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-ს მიმართ	39	107
დაფინანსების ხარჯი შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-ს მიერ წარმოდგენილ საბანკო გარანტიაზე (შენიშვნა 14)	64	-
სულ	103	107

დაკავშირებულ მხარეებთან გადასახდელი ნაშთები წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

<i>ათას ლარში</i>	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
გრძელვადიანი დავალიანება მშობელი კომპანიის (შენიშვნა 14) - შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-ს მიმართ	602	564	-
დავალიანება შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-ს მიერ წარმოდგენილ საბანკო გარანტიაზე (შენიშვნა 14)	83	-	-
ნასესხები სახსრები შპს „სი-სი-ი-ეიჩ ჰაიდრო III“-სგან	-	-	3,162
სულ	685	564	3,162

ხელმძღვანელობის შემადგენლობაში შედიან კომპანიის დირექტორები. ხელმძღვანელობის მიმართ გადასახდელი კომპენსაცია სრულ განაკვეთზე აღმასრულებელ სახელმძღვანელო პოზიციებზე მუშაობის სანაცვლოდ მოიცავს სახელშეკრულებო ანაზღაურებას, ბონუსს კომპანიის ფინანსური საქმიანობიდან გამომდინარე და სხვა სახის კომპენსაციას იჯარის, ტრანსპორტირების, კომუნიკაციისა და სხვა ხარჯების ანაზღაურების სახით. ხელმძღვანელობის სრული კომპენსაცია წარმოდგენილია შემდეგი სახით:

<i>ათას ლარში</i>	2019	2018
ხელფასები და სარგებელი	644	371

21 ფინანსური ინსტრუმენტები

<i>ათას ლარში</i>	2019 წლის 31 დეკემბერი	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები			
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები გამოკლებული გაუფასურება	2,106	1,216	72
<i>ფული და ფულის ექვივალენტები</i>	1,164	1,204	61
<i>სხვა დებიტორული დავალიანება</i>	942	12	11
ფინანსური ვალდებულებები			
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	48,400	1,184	3,370
<i>ნასესხები სახსრები</i>	37,155	-	3,162
<i>გრძელვადიანი გადასახდელები</i>	685	564	1
<i>კრედიტორული და სხვა სახის დავალიანება</i>	10,560	620	207

22 საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ზამთრის მძიმე კლიმატური პირობების მიზეზით, სამშენებლო სამუშაოების პროდუქტიულობა მნიშვნელოვნად შემცირდა იანვრიდან თებერვლის დასაწყისამდე და საბოლოოდ შეწყდა 2020 წლის თებერვლის მეორე ნახევარში.

სამშენებლო სამუშაოები განახლდა 2020 წლის მარტში; თუმცა აღნიშნულ პროცესზე უარყოფითად აისახა COVID-19 ვირუსის გავრცელება, რომელმაც მნიშვნელოვნად იმოქმედა საოპერაციო ჯაჭვსა და ვადებზე, აგრეთვე პროექტის ხარჯებზე. ქვემოთ წარმოდგენილია ნაწილობრივი ჩამონათვალი:

- ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გაძლიერებული ზომების მიღების შედეგად, მთელი ობიექტი იმყოფებოდა საკარანტინო რეჟიმში.
- ვითარებამ შეცვალა საოპერაციო ციკლი, როგორც სამშენებლო მასალის, აღჭურვილობისა და მომსახურების ასევე სამუშაო ძალის მიწოდების კუთხით.
- გმაკანცრებულმა სასაზღვრო პოლიტიკამ გაართულა უცხოელი სპეციალისტების მოძიების საშუალება.

შედეგად, პროექტის მმართველმა გუნდმა თავარ შეითავსა ქვეკონტრაქტორის როლი და სამუშაოები გაგრძელდა წყვეტის გარეშე და წარმატებით დასრულდა 2020 წლის შემოდგომისას.